შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

LTD FOOTBALL CLUB MESHAKHTE

კლუბის საშეჯიბრო სახელწოდება ს/კ „მეშახტე“

ს/კ 219630228

ქ.ტყიბული, თაყაიშვილის N3

ტელ: +598 87 63 83

შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

09.03.2026 წელი

სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია

საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

I. შესავალი

საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“ მრავალი წელია მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონის სოციალურ და სპორტულ განვითარებაში. კლუბის მისიაა უზრუნველყოს ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელი ცხოვრების წესი, განათლება, სოციალური ჩართულობა და სპორტული შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

„მეშახტე“ არ წარმოადგენს მხოლოდ საფეხბურთო კლუბს-ის არის პლატფორმა, რომელიც აძლევს ბავშვებს განვითარების შანსს, იცავს მათ უფლებებს და ქმნის ინკლუზიურ გარემოს, სადაც სპორტი ყველასთვის ხელმისაწვდომია, მიუხედავად სოციალური თუ ეკონომიკური სტატუსისა.

II. კლუბის სტრუქტურა

კლუბს ჰყავს:

- ✓ 1 ძირითადი გუნდი, რომელიც ასპარეზობს ეროვნულ ლიგაში
- ✓ 1 გუნდი რეგიონალურ ლიგაში („მეშახტე 2“)-დაფინანსებულია ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ;
- ✓ 7 ახალგაზრდული ჭაბუკთა გუნდი-მონაწილეობენ იმერეთის რეგიონის ჩემპიონატებსა და ჭაბუკთა ლიგაში;
- ✓ 1 ახალგაზრდული ქალთა გუნდი-მონაწილეობენ 15 წლამდე გოგონათა 11x11 ლიგაში
- ✓ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების 300-ზე მეტი ბავშვი რეგულარულად დადის ვარჯიშებზე.
- ✓ კლუბის აღსაზრდელები იღებენ სრულად უფასოდ სხვადასხვა სერვისებს და სრულფასოვან ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას.

III. სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ძირითადი კომპონენტები

1. სრულიად უფასო საფეხბურთო განათლება- ბავშვები კვირაში რამდენჯერმე მონაწილეობენ პროფესიონალურ ვარჯიშებში.

2. უფასო ეკიპირება და ინვენტარი -კლუბი ყოველწლიურად უზრუნველყოფს ფეხბურთელებს ბურთებით, ფორმებით, სპორტულებითა და სავარჯიშო აღჭურვილობით.

3. უფასო ტრანსპორტირება და კვება-კლუბი ბავშვებს უზრუნველყოფს ტრანსპორტით ვარჯიშებზე და ტურნირებზე, ტურნირებისას-კვებით.

4. უფასო ჯანმრთელობის მხარდაჭერა-პერიოდული სამედიცინო შემოწმებები, ტრავმების პრევენცია და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტანდარტების დაცვა.

5. უფასო განათლება და ცნობიერების ამაღლება-ტრენინგები და სემინარები თემებზე: სწორი კვება, ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა, ბულინგი, რასიზმი და თანასწორობა.

6. ზაფხულის შეკრებები და ბანაკები-კლუბი მშობლებთან და სპონსორებთან ერთად ზაფხულობით აწყობს შეკრებებს ზღვისპირეთსა და მთიან რეგიონებში.

7. უფასოდ მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირებში და ტურნირების ორგანიზება-კლუბი ბავშვებს რთავს როგორც ადგილობრივ, ასევე კერძო ტურნირებში. ორგანიზდება ტრადიციული ტურნირები ვეტერანი ფეხბურთელების ხსოვნისადმი პატივისცემის მისაგებად.

8. გარემოზე ზრუნვა-კლუბისათვის უმნიშვნელოვანესია გარემოს დაცვა; ჩვენს აღსაზრდელებთან და ძირითად გუნდთან ერთად აქტიურად ვაწყობთ დასუფთავების ღონისძიებებსა და გამწვანების დღეებს, რაც დიდ ინტერესს იწვევს აღსაზრდელებში; ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან ვინ უფრო მეტ ნარჩენებს შეაგროვებს, ამავდროულად ხდება მათი დახარისხება; თითოეული აქტივობა განთავსებულია ჩვენს სოციალურ ქსელებში.

9. შშმ პირების მხარდაჭერა და მათი ადაპტირება-ჩვენთვის ასევე დიდ როლს ასრულებს შშმ პირებთან ურთიერთობა და მათი მხარდაჭერა. კლუბში გვყავს შშმ პირებთან მეკავშირე ოფიცერი, რომელიც თავად არის შშმ პირი, ეს ხელს უწყობს როგორც მის განვითარებას ასევე არის მოტივაცია ყველასათვის რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. ჩვენი ოფიცერი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა აქტივობებში და მასთან ერთად განხორციელდა უკვე რამდენიმე სხვადასხვა აქტივობა.

10. გოგონების ჩართვა ფეხბურთში-2025 წლიდან აქტიურად ვცდილობთ მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგონების დაინტერესებას საფეხბურთო ცხოვრებითა და მათ ჩართვას სხვადასხვა ადგილობრივ ტურნირებში. 2026 წელს შევძელით რომ შეგვექმნა გოგონათა ასაკობრივი გუნდი, რომლებიც მონაწილეობენ 15 წლამდე გოგონათა ლიგაში. ჩვენი მიზანია, რომ მეტი გოგონა დაინტერესდეს ფეხბურთით, გაწევრიანდეს ჩვენს კლუბში და სამომავლოდ ერთად შევძლოთ სხვადასხვა მაშტაბურ ტურნირებში მონაწილეობა.

11. ლეგიონელი ფეხბურთელების ხელშეწყობა და მათი საზოგადოებაში ადაპტირება. (კლუბში გვყავს 5 ლეგიონერი ფეხბურთელი, რომლებიც დიდი სიყვარულითა და სიმპათიით სარგებლობენ გულშემატკივრებს შორის. ისინი ჩვენი გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი არიან და კლუბი მათ მიმართ გამოხატავს სრულ მხარდაჭერას.)

12. 2026 წლიდან გვყავს ბავშვთა სკოლის უსაფრთხოების ოფიცრი , რომელიც იზრუნებს ვარჯიშებსა და ღონისძიებებზე ბავშვების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე, ბულინგისა და დისკრიმინაციის პრევენციაზე და მშობლებთან ეფექტურ კომუნიკაციაზე.

IV. პარტნიორობა და დაფინანსება

კლუბი დაფინანსებულია შემდეგი წყაროებით:

- ✓ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-აფინანსებს ასაკობრივ გუნდებს, მწვრთნელიბის ხელფასებს, სავარჯიშო ინფრასტრუქტურასა და ახალგაზრდული გუნდების ტრანსპორტირებას;
- ✓ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია-რეგიონული ლიგისა და ლიგა 2-ის გუნდების დაფინანსება.
- ✓ კლუბის ბიუჯეტი-ეკიპირება, ტურნირები, საწვრთნელი შეკრებები, ტრენინგები, ძირითადი გუნდის ფეხბურთელთა ხელფასები;
- ✓ სკოლების კატეგორიზაცია-ყოველწლიურად გავდივართ კატეგორიზაციას, სადაც 2025 წელს მოვიპოვეთ ბავშვთა სკოლის სტატუსი (II კატეგორია) და აღნიშნული დაფინანსება ხმარდება ბავშვთა გუნდების ინვენტარიზაციასა და ეკიპირებას.
- ✓ მშობლები, სპონსორები და თემის წევრები-ზაფხულის შეკრებებისა და ღონისძიებების ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა.

V. სოციალური ზეგავლენა

კლუბი „მეშახტე“ ქმნის სისტემურ ზეგავლენას რეგიონზე:

- ✓ 300 + ბავშვი იღებს უფასო სპორტულ განათლებას;
- ✓ 200 ბავშვი მონაწილეობას იღებს ჭაბუკთა ლიგაზე და იმერეთის რეგიონალური ფედერაციის მიერ დაორგანიზებულ ჩემპიონატებზე, ხოლო დანარჩენი 100 ბავშვი აქტიურად მონაწილეობენ ამხანაგურ მატჩებსა და სხვადასხვა დაორგანიზებულ ტურნირებში.
- ✓ იზრდება ფიზიკურად აქტიური, ჯანმრთელი და სოციალურად ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- ✓ ფორმირდება სამოქალაქო აქტიურობის კულტურა;
- ✓ თემში ვითარდება ერთიანობა, თანამშრომლობა და სოლიდარობა;
- ✓ მცირდება ბულინგისა და რასიზმის რისკი მოზარდებში.

VI. შეფასება და მონიტორინგი

- ✓ რეგულარული სიები, აღწერები და სტატისტიკა;
- ✓ მწვრთნელთა ანგარიშები და ბავშვების ინდივიდუალური პროგრესის ანალიზი;
- ✓ მშობლების ჩართულობა უკუკავშირის გზით;
- ✓ ფოტომასალა და ვიდეო დოკუმენტაცია;
- ✓ წლის ბოლოს დეტალური ანგარიში სფფ-სა და მერიისათვის.

VII. მდგრადობა და განვითარება (4 წლიანი განვითარების გეგმა)

კლუბი გეგმავს:

- ➢ ქალთა და გოგონათა ფეხბურთის განვითარებისათვის კიდევ უფრო მეტ ხელშეწყობას და მათი რიცხვის გაზრდას.
- ➢ მეტი ტურნირის დაგეგმვასა და ჩატარებას გოგონათა გუნდების ჩართვით;
- ➢ მეტი ინკლუზიური პროგრამის დანერგვას, შშმ პირების ჩართულობას სპორტულ გარემოში.
- ➢ დამატებითი ფინანსური პარტნიორების მოზიდვას;
- ➢ სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავებას რეგიონულ სკოლებთან და სხვადასხვა ტრენინგების ჩატარებას ბავშვებისათვის მაგალითის მისაცემად და სპორტის დასაინტერესებლად;
- ➢ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დაწყება;
- ➢ დაგეგმილია ასევე გულშემატივრების ცნობიერების ასამაღლებლად და ანტირასისტული ქმედებების შესამცირებლად ჩვენს კლუბში არსებული ლეგიონელების ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობასა და ტურნირებზე, რათა ხმამაღლა გაჟღერდეს ჩვენი მოწოდებები: „:არა რასიზმს! არა სიძულვილის ენას!“
- ➢ სოციალური ეფექტის კვლევას აკადემიურ წრეებთან ერთად;
- ➢ ბავშვებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგებისა და აქტივობების დანერგვას კვალიფიცირებული სპეციალისტების ჩართვით;
- ➢ გარემოზე ზრუნვის გაღრმავება და უფრო მეტი აქტივობის დანერგვა.

- რასიზმის შემთხვევებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმის შექმნა-კლუბი გეგმავს ანტირასისტული ანგარიშის გაკეთებას, რომელსაც სოც.პასუხისმგებლობის ოფიცერი, გულშემატკივრებტან მეკავშირე ოფიცერი და შშმ პირებტან მეკავშირე ოფიცერი წარუდგენს ადმინისტრაციას.

- გულშემატკივრების ცნობიერების ამაღლება ანტირასისტული ქმედებების შემცირების მიზნით. ყველა თამაშზე და ღონისძიებაზე მოვუწოდებთ: არა რასიზმს! არა სიძულვილის ენას!

დამატებით, კლუბი გეგმავს:

- ეკოლოგიურად პასუხისმგებელი სტადიონის კონცეფციის დანერგვას-2026 წლიდან იგეგმება ჩვენი სტადიონის სრულიად რეაბილიტაცია და მომდევნო წლების განმავლობაში მოხდება ენერგოეფექტური განათებითა და ნარჩენების მართვის სისტემით სტადიონის დაკომპლექტება.

- პროგრამის შექმნას „ფეხბურთი ყველასთვის"-სადაც შშმ პირები, გოგონები და სოციალურად დაუცველი ბავშვები შეძლებენ უფასოდ მონაწილეობას ვარჯიშებსა და ტურნირებში;

- ტრენინგების ციკლის ორგანიზებას ბავშვთა უსაფრთხოებაზე, ბულინგისა და ძალადობის პრევენციაზე, თანასწორობასა და ანტირასიზმზე;

- მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის პროგრამის დაწყებას, ფსიქოლოგებისა და სპორტული მენტორების ჩართულობით;

- თანამშრომლობის გაღრმავებას ადგილობრივ სკოლებთან, რათა ბავშვებისთვის შერწყმულ იქნას სწავლისა და ვარჯიშის ბალანსი და ხელი არ შეეშალოთ განვითარებაში;

- ფეხბურთელთა პროფესიული განვითარების პროგრამის დანერგვას-ტრენერების, მასწავლებლებისა და მენეჯერების გადამზადებით;

- სოციალური კამპანიების გაშვებას-რასიზმის, დისკრიმინაციისა და უთანასწორობის წინააღმდეგ კლუბის მოთამაშეთა მონაწილეობით;

- „მეშახტე Fair Play Festival"-ის (სამართლიანი თამაშის ფესტივალის) დაარსებას--ყოველწლიური ტურნირი, სადაც მთავარ ღირებულებებს წარმოადგენს მეგობრობა, თანასწორობა და პატივისცემა;

- „მწვანე მატჩების" ჩატარებას გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით (ხეების დარგვა, ბიოდაშლადი ბოთლების გამოყენება, ნარჩენების შეგროვება);

- მშობელთა ჩართულობის პროგრამის დანერგვა, სადაც ისინი იღებენ მონაწილეობას კლუბის სოციალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში;

- საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზებას სხვადასხვა თემებზე-გუნდურობა, ემპათია, თანასწორობა, მეგობრობა და გარემოზე ზრუნვა;

- რეგიონული პარტნიორობის გაფართოებას სხვა კლუბებთან და მუნიციპალიტეტებთან--საერთო სოციალური კამპანიებისა და ტურნირების მოსაწყობად.

VIII. შესაბამისობა ლიცენზირების მოთხოვნებთან

საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“-ს სტრატეგია და განვითარების გეგმა სრულად შეესაბამება ლიცენზირების სოციალურ კრიტერიუმებს ვინაიდან ჩვენს კლუბს აქვს:

- უფასო ხელმისაწვდომობა;
- მრავალდონიანი მხარდაჭერა;
- უფასო ტრანსპორტი, კვება, ეკიპირება;
- თანაბარი შესაძლებლობების შექმნა თითოეული ახალგაზრდისათვის;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობში ბავშვების აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა;
- შშმ პირების მხარდაჭერა;
- ბავშვთა და მოზარდთა დაცვის პოლიტიკა;

შპს საფეხბურთო კლუბის

სოციალური პასუხისმგებლობის ოფიცერი: /ქეთევანი ყვავაძე/

შპს საფეხბურთო კლუბი

„მეშახტე“-ს დირექტორი: /კონსტანტინე ქარქაშაძე/